უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი 14.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს სხდომის მდივანი;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
რამაზ გიუნაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ვასილ კოპეიკინი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი;
2. ერეკლე ჩიგოგიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე;
3. მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო სამმართველოს უფროსი;
4. ნინო ჯოჯუა - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ემზარ ბარბაქაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. დავით ტეფნაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
7. დავით გუბელაძე - შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

8. თამარ ჯანგულაშვილი - შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროორექტორი საზოგადოებასთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობის დარგში;
9. გრიგოლ სულბერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
10. ანდრო ბარნოვი - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

თამარ ვეფხვაძე;
ეკატერინე ბაღიშვილი;
ანა კლდიაშვილი;
ნინო ბოჭორიშვილი;
დავით ბოსტოღანაშვილი;
ელენე გვენცაძე;
გიორგი რამიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა წარადგინა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ანდრო ბარნოვმა. მისი განმარტებით, ის არ იყო ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საბჭოს სხდომაზე მოხდებოდა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა. შესაბამისად, მას არ ჰქონდა თან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა მომხდარიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ სხდომის დღის წესრიგი გამოქვეყნებული იყო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დაწესებულებას წერილობითი ფორმით ეცნობა, რომ 14 ივლისს იგეგმებოდა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ვეფხვაძემ.

თამარ ვეფხვაძის განმარტებით, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, დაწესებულების პირობების გადამოწმება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ხელახალი ავტორიზაციის რეჟიმში. მისი თქმით, ის იმყოფებოდა ასევე, 2011 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაშიც. შესაბამისად, ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა დაენახა დაწესებულების მიერ 5 წლის მანძილზე გავლილი გზა, მისი განვითარების ტრაექტორია როგორც ინსტიტუციური, ასევე კონცეპტუალური თვალსაზრისით. 2011-2016 წლებში ტრანსფორმაცია განიცადა, დაწესებულების მისიამ, საგანმანათლებლო პროგრამებმა, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შემადგენლობამ, გარემონტდა და კიდევ უფრო მეტად კეთილმოეწყო აკადემიის ინფრასტრუქტურა. მისი განმარტებით, რეალურად დაწესებულება წარმოადგენდა ,,კამპუსის'' ტიპის ერთადერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა (იუნკერთა) სწავლას, ინტელექტუალურ განვითარებას, ფიზიკურ და სპეციფიურ სამხედრო მომზადებას, კვებას, ჯანდაცვას, რეკრეაციულ მომსახურებას მაღალი დასავლური სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის თქმით, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე არსებობდა გარკვეული განსხვავებები ავტორიზაციის სტანდარტებს, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონსა და სამხედრო კანონმდებლობას შორის, თუმცა, დაწესებულებისათვის, როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ინსტიტუციისათვის პრიორიტეტული იყო ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონი, რომლითაც რეგულირდებოდა არსებული განსხვავებები.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია წარმოადგენდა სასწავლო უნივერსიტეტს, რომელიც აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებდა 2 საბაკალავრო (მენეჯმენტი და ინფორმატიკა), 1 სამაგისტრო (თავდაცვის ანალიზი) და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ავტორიზაციაზე წარმოდგენილი იყო ერთი ახალი საბაკალავრო პროგრამა (თავდაცვა და უსაფრთხოება). იუნკერთა რაოდენობა საბაკალავრო პროგრამაზე შეადგენდა 429-ს. აკადემიური პერსონალის რაოდენობა იყო - 15.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საერთო შეფასებით, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრი, გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სუსტი მხარე და რის განვითარებას აპირებდნენ სამომავლოდ დაწესებულების 6-წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსა და კვალიფიციური შეფასებისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა სხვადასხვა სახის ტექნიკური ხარვეზი, რომელთა გაუმჯობესებაზეც ზრუნავდნენ, თუმცა ამას დაწესებულების სუსტ მხარეს ვერ უწოდებდა. რაც შეეხებოდა, სამომავლო პერსპექტივებს, იგეგმებოდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ამ გზით შემოთავაზებების გამრავალფეროვნება. ამასთან, დაწესებულება მუშაობდა იმ საკითხზე, რომ უფრო მეტ გაცვლით პროგრამაში მიეღოთ მონაწილეობა მათ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. ყველა შემთხვევაში სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის გეგმები გამომდინარეობდა სახელმწიფოს ინტერესებიდან და პასუხობდა საქართველოს თავდაცვის სამინიტროს მისიასა და ამოცანებს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222) 2016 წლის 8 სექტემბრიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით.

2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ელენე გვენცაძემ. მისი განმარტებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით, დაწესებულებაში მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2016 წლის 13–15 აპრილს. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის შედეგად გაირკვა შემდეგი გარემოებები:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პირველი შენიშვნა ეხებოდა იმას, რომ უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინგლისურენოვანი სილაბუსების ქართულენოვანი თარგმანების ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. მონიტორინგის ჯგუფის აზრით, დაწესებულებას უნდა შეეძლოს თავად აიღოს პასუხისმგებლობა თარგმანების სიზუსტესთან დაკავშირებით და ისინი საკუთარი ბეჭდით დაამოწმოს, მით უფრო, რომ ეს პროცესი დამატებით ფინანსებთან არის დაკავშირებული;
- ინგლისურენოვან პროგრამებზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტებზე გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფმა გაარკვია შემდეგი:

უნივერსიტეტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით, 2013 წლის 25 თებერვალს მიიღო. იმავე ნებართვის თანახმად, „პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და სხვა გათვალისწინებული პროცედურებისთვის უნივერსიტეტს შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარედგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის", თუმცა ეს ვალდებულება უნივერსიტეტმა მხოლოდ 2015 წელს შეასრულა და შესაბამისად, 2015 წლის 29 ივლისიდან, 2 ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების უფლება მიენიჭა. ეს პროგრამებია: „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)" და „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია".

როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით ირკვევა, საინჟინრო ფაკულტეტის ბაკალავრიატში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით, მაშინ, როცა უნივერსიტეტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების უფლება, 2012 -2013 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩარიცხული იყო ნიგერიის რესპუბლიკის 4 მოქალაქე, ხოლო მე–5 პირი, იმავე ფაკულტეტზე, ასევე აკადემიური სწავლების პირველი სემესტრიდან ჩარიცხულია 2013 წლის 1 მარტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის გაცემის შემდეგ. როგორც უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებიდან ირკვევა, უცხოელი სტუდენტებისთვის 2012–2103 სასწავლო წლის I სემესტრი დაიწყო 2012 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდა 2013 წლის 1 მარტს, ანუ ფაქტიურად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მიღებამდე, ზემოაღნიშნულმა 4–მა სტუდენტმა უკვე დაასრულა I სემესტრი.

კითხვაზე, თუ როგორ მოახერხეს 2012 წლის 13 და 27 დეკემბერს, ე.ი. სწავლის დაწყებიდან 2 თვის დაგვიანებით ჩარიცხულმა ორმა სტუდენტმა და მითუმეტეს, 2013 წლის 1 მარტს, სემესტრის დამთავრების დღეს ჩარიცხულმა სტუდენტმა I სემესტრის საგნების ათვისება და კრედიტების მოპოვება, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათთვის ინიშნებოდა ინტენსიური მეცადინეობები, თუმცა სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობებისა და შეფასებების ამსახველი დოკუმენტაცია ვიზიტის დროს უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. ამის შემდგომ, ზემოაღნიშნული სტუდენტებისთვის მეორე სემესტრით გათვალისწინებული კრედიტების ასათვისებლად, 2013 წლის 1 ივლისიდან 20 სექტემბრის ჩათვლით დაინიშნა დამატებითი ლექციები, თუმცა ამ პერიოდის სტუდენტთა ნამუშევრები და საგამოცდო უწყისები უნივერსიტეტის მიერ ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი. ზემოაღნიშნული 5 სტუდენტი დღეს IV კურსის VIII სემესტრში ირიცხება და საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკას გადის. რაც შეეხება III კურსელ სტუდენტებს, მათგან 4 ჩარიცხულია 2013 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, ხოლო ერთს, სტუდენტის სტატუსი II სემესტრიდან აქვს აღდგენილი 2013 წლის იანვარში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს 2013 წლის ოქტომბერში (როცა სტუდენტთა ჩარიცხვა დაიწყო), უკვე ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით, სტუდენტთა ჩარიცხვა მაინც კანონდარღვევით მოხდა, ვინაიდან პროგრამები, რომლებზედაც ამჟამინდელი III კურსელები სწავლობენ, 2013 წელს, კანონმდებლობის შესაბამისად არც ავტორიზებული იყო და არც აკრედიტებული.

როგორც უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 17 სექტემბრის 06/30 ბრძანებიდან ირკვევა, უცხოელი სტუდენტებისთვის 2013–2014 სასწავლო წლის I სემესტრი დაიწყო 2013 წლის 23 სექტემბერს და დასრულდა 2014 წლის 17 იანვარს 2 თვის დაგვიანებით, 2013 წლის 26 ნოემბერს ჩარიცხული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული 30 კრედიტის ასათვისებლად ჩატარებული ინდივიდუალური მეცადინეობების ამსახველი შეფასებების უწყისები ვერც ამ შემთხვევაში წარმოადგინა უნივერსიტეტმა. 2014–2015 სასწავლო წლის I სემესტრი უცხოელი სტუდენტებისთვის დაიწყო 2014 წლის 13 ოქტომბერს და დასრულდა 2015 წლის 20 თებერვალს. დღევანდელი 12 - II კურსელიდან 4 ჩარიცხულია 2014 წლის 11 ნოემბერს, მე-5, პატრიკ მადაკე I სემესტრის სტუდენტად ჩარიცხულია 2015 წლის 24 თებერვალს, I სემესტრის დამთავრებიდან 4 დღის შემდეგ, ხოლო მე-6 სტუდენტი მორიდ მატტა I სემესტრის სტუდენტად ჩარიცხულია 2015 წლის 30 ივნისს, ფაქტიურად 2014–2015 სასწავლო წლის დასასრულს. 6-ვე სტუდენტი ასევე კანონდარღვევითაა ჩარიცხული პროგრამებზე, რომლებიც ამ პერიოდისთვის არც ავტორიზებული იყო და არც აკრედიტებული. რექტორის 2015 წლის 8 ივლისის #06/27-1 ბრძანებით, დაგვიანებით ჩარიცხულ სტუდენტებს მატტას და მადაკეს 2015 წლის 13 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით დაენიშნათ დამატებითი ლექციები I სემესტრით გათვალისწინებული კრედიტების ასათვისებლად. როგორც ელექტრონული ჩანაწერებიდან ირკვევა, ზემოთაღნიშნულმა ორმა სტუდენტმა, 2014–2015 სასწავლო წლის II სემესტრში 3–3 საგანი გაიარა, ხოლო ზაფხულში, 2015 წლის 13 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით, 7 კვირის განმავლობაში, I კურსის დარჩენილი 6–6 საგანი, ჯამში 36-36 კრედიტის მოცულობით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, 1 კრედიტი 28 საათის ტოლფასია, მივიღებთ, რომ 7 კვირის განმავლობაში, 36 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამი 1008 საათის, ხოლო კვირაში 144 საათის ტოლია, რაც შრომის კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია. აღნიშნულის დასადასტურებლად უნივერსიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია მიღებული შეფასებებისა და მოპოვებული კრედიტების შესახებ ელექტრონული სახით, რომელზეც არ იკითხება გამოცდების ჩაბარების თარიღი, პროფესორის გვარი და ა.შ. მიმდინარე და საგამოცდო შეფასებების ამსახველი მასალები და უწყისები უნივერსიტეტმა ვერ

წარმოადგინა, ვინაიდან მათი განმარტებით აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება პროფესორებთან. რაც შეეხება II კურსის დანარჩენ 6 სტუდენტს, ისინი სხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებიდან მობილობის წესით არიან ჩარიცხულნი, კანონმდებლობის დაცვით. 2015–2016 სასწავლო წლის I სემესტრი უცხოელი სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში 2015 წლის 14 სექტემბერს დაიწყო და 2016 წლის 5 თებერვალს დასრულდა. I კურსზე ჩარიცხულია 5 უცხოელი სტუდენტი, მათ შორის ორი - 2015 წლის 4 ნოემბერს, სემესტრის დაწყებიდან თითქმის 2 თვის შემდეგ, ხოლო მართა ონილოკვუ, ასევე I სემესტრის სტუდენტად 2016 წლის 19 თებერვალს, II სემესტრის დაწყებამდე 3 დღით ადრე. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, ისიც ინდივიდუალური მეცადინეობების გზით, ინტენსიურად გადის I კურსის საგნებს. რაც შეეხება ზაფხულის ინტენსიურ მეცადინეობებს, ჯერ განრიგი გაწერილი არა აქვს.

მაშასადამე, სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით, დღეისათვის უნივერსიტეტში 27 უცხოელი სწავლობს, მათ შორის IV კურსის VIII, დამამთავრებელი სემესტრის 5 სტუდენტი უნივერსიტეტში ჩაირიცხა 2012 წელს, მაშინ, როცა უნივერსიტეტს საერთოდ არ ჰქონდა ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელების უფლება, ხოლო 5 მესამე კურსელი და 6 - მეორე კურსელი (ჯამში სულ 16 სტუდენტი) 2013 და 2014 წლებში ჩაირიცხა ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა განხორციელების უფლება უნივერსიტეტს ავტორიზაციის ან აკრედიტაციის პროცედურით არ ჰქონდა დამატებული. აღნიშნული პროგრამები კანონმდებლობით დადგენილი წესით დაწესებულებამ დაიმატა მხოლოდ 2015 წლის 29 ივლის. შესაბამისად, ჯამში კანონდარღვევით უნივერსიტეტში სულ 16 სტუდენტია ჩარიცხული;

- რაც შეეხება ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნას პროგრამებსა და სილაბუსებში ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენციის არქონასთან დაკავშირებით, ეს ხარვეზი დაწესებულების მიერ გამოსწორებულ იქნა და სილაბუსებში ეს უნარი გაწერილია საგნის სპეციფიკიდან და შედეგებიდან გამომდინარე;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც ინგლისური ენის ინტენსიურ სწავლებას და სტუდენტთა მიერ ინგლისური ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი მექანიზმის არქონას ეხება, ვფიქრობთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომლის თანახმადაც შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს ეძლევა „საავიაციო ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის უფლება, ICAO-ს მოთხოვნათა შესაბამისად", უნივერსიტეტს შესაძლებლობას აძლევს როგორც პროფესიული ინგლისურის სწავლების, ასევე ამ სასწავლო კურსის წინაპირობით განსაზღვრულ დონემდე სტუდენტთა მომზადების;
- მონიტორინგის ჯგუფი ეთანხმება შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის ეროვნული გამოცდების საინფორმაციო ცნობარში ინგლისურენოვან პროგრამებზე მიღების წინაპირობაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს: „ინგლისურ ენაში ერთიანი ეროვნული გამოცდის მინიმალური დადებითი შედეგი განისაზღვრება 50%+1 ქულით";
- პრაქტიკის კომპონენტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების არასტანდარტულ განაწილებასთან დაკავშირებით (პრაქტიკა 18 კრედიტიანია, სულ 504 საათის ოდენობით, აქედან 224 საათი დამოუკიდებელია), ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნას პროგრამის ხელმძღვანელები თავად პროგრამების თავისებურებებით ხსნიან;
- რაც ეხება შენიშვნებს სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს ეს შენიშვნები გამოსწორებული იყო;
- რაც შეეხება შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას, ვფიქრობთ, უცხოელი სტუდენტებისთვის

პროფესიული ინგლისურის შესასწავლად განკუთვნილი 252 საათი, 9 კრედიტის მოცულობით ცოტა არ არის, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტს უფლება აქვს პროფესიული ინგლისურის ინტენსიურად სწავლებისა და საავიაციო ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრისა ICAO-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ამ შესაძლებლობას უნივერსიტეტი და თითოეული სტუდენტი აუცილებლად გამოიყენებს, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებას ვეთანხმებით იმასთან დაკავშირებით, რომ სასურველია ინგლისურენოვან პროგრამებზე ჩარიცხვამდე შემოწმდეს აბიტურიენტთა ინგლისური ენის ფლობის დონე, რაც ცხადია ხელს შეუწყობს სასწავლო კურსების უკეთ ათვისებას, სილაბუსებში მითითებულ მასალებსა და სავალდებულო ლიტერატურაზე ეფექტურად მუშაობას და ზოგადად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

- მონიტორინგის ჯგუფი ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას ქართულ ენაში საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით, თუმცა არასპეციალობის საგნების მოცულობაში ასეთ შეზღუდვებს პროგრამის ხელმძღვანელები ისევ პროგრამის თავისებურებებით ხსნიან;

- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებით არჩევითი საგნების სწავლება საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ამას პროგრამის ხელმძღვანელები ისევ და ისევ პროგრამის თავისებურებებით ხსნიან. მონიტორინგის ჯგუფის აზრით არჩევითი სასწავლო კურსები, თუნდაც სტუდენტის ზოგადი განათლებისთვის, გარკვეული მოცულობით, ყველა პროგრამაში უნდა იყოს გათვალისწინებული;

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნას შესაბამის დაწესებულებებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების არქონასთან დაკავშირებით, დაწესებულება იმით ხსნის, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ამიერკავკასიაში ამ პროფილის ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია და ფაქტიურად შეუძლებელია მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება მაშინ, როცა ასეთ სპეციფიურ პროგრამებს ამ უნივერსიტეტის გარდა არცერთი უმაღლესი სასწავლებელი ამიერკავკასიაში არ ახორციელებს. როგორც რექტორის საუბრიდან ირკვევა, ის მუდმივად ეძებს საზღვარგარეთ აღნიშნული პროფილის უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებს, ურთიერთთანამშრომლობის დამყარების მიზნით;

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილის მისამართით გამოთქმული შენიშვნის შესწავლის მიზნით, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ უმეტესობას არ უდასტურდებოდა ინგლისური ენის ფლობის დონე, გადამოწმდა მათი პირადი საქმეები და გაირკვა შემდეგი: ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელებაში ჩართულია: 1 პროფესორი; 5 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ–პროფესორი; 10 მოწვეული ლექტორი და 1 მასწავლებელი. მათგან აბსოლუტურად ყველას, შესაბამისი სერტიფიკატებით (OXFORD HOUSE CERTIFICATE; ICAO English Language Proficiency Rating; CAC CERTIFICATE; TRASEKA CERTIFICATE და სხვა საერთაშორისო სერტიფიკატებით) უდასტურდებათ ინგლისური ენის ცოდნა. ზოგიერთ ლექტორს ინგლისური ენის ფლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებით უდასტურდება. რაც შეეხება ზემოთაღნიშნულ პროფესორთაგან 6–ს, წარმოდგენილი აქვს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ გაცემული, ე.წ. „შიდა მოხმარების" სერტიფიკატი, რომლითაც უნივერსიტეტმა მათი ინგლისური ენის ფლობის დონე დაადასტურა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სერტიფიკატით მინიჭებული უფლებებიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს ეძლევა „საავიაციო ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის უფლება, ICAO-ს მოთხოვნათა შესაბამისად" ამ სერტიფიკატის გამოყენების უფლება პროფესორებს, გარდა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისა, სხვაგან არა აქვთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა უკვე აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები გამოსწორებულ იქნა.

დაწესებულების მიერ არაავტორიზებულ რეჟიმში უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მცდარი წარმოდგენა აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძოდ მიიჩნევდნენ, რომ ვინაიდან ქართულენოვანი პროგრამა ავტორიზებული იყო, პრობლემას არ წარმოადგენდა იგივე პროგრამის ინგლისურ ენაზე თარგმნა და განხორციელება. თუმცა, მას შემდგომ, რაც დაწესებულებამ შეიტყო მცდარი მიდგომის შესახებ, ხარვეზის გამოსწორების მიზნით სტუდენტებმა სწავლა გააგრძელეს ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამით. ეს პრობლემა დაწესებულებაში მუდმივად ფიქსირდებოდა ექსპერტთა ჯგუფების ვიზიტის დროს. აღნიშნული ხარვეზი სრულად გამოსწორებას მისი ხანდაზმულობიდან გამომდინარე არ ექვემდებარებოდა. დაწესებულება მოკლებული იყო შესაძლებლობას შეექმნა ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სრულად აღმოიფხვრიდა მის მიერ წლების წინ დაშვებული შეცდომას. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ხარვეზის გამო დაწესებულების საქმიანობის განხორციელებას საფრთხე არ უნდა შექმნოდა.

სტუდენტთა გარკვეული კატეგორიის მიერ ზაფხულის პერიოდში ინტენსიურ რეჟიმში საგნების დაძლევასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამი, რომელიც კვირაში 144 საათის უტოლდებოდა, დასაშვები იყო და მონიტორინგის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნა, შრომის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის თაობაზე არ იყო მისღები. სტუდენტის ყოველკვირეულ დატვირთვაზე ვერ გავრცელდებოდა შრომის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, ვინაიდან აღნიშნული აწესრიგებდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობებს. ამასთან, ამ სტუდენტების მიერ მოხდა არა სემესტრის დაფარვა, არამედ ახალი სემესტრის დაწყებამდე ხდებოდა რამდენიმე საგნის გავლა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს მოხდა ექსპერტებისათვის გამოცდების შედეგების ელექტრონული ჩანაწერების ჩვენება, რაც შეეხებოდა ნაბეჭდ ვერსიას, ასეთი სახით დაწესებულებას არ ჰქონდა.

ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ ჩანაწერებში, რომლებიც ელექტრონული სახით იყო წარმოდგენილი, არ იკითხებოდა გამოცდების ჩაბარების თარიღი, პროფესორის გვარი და ა.შ. მიმდინარე და საგამოცდო შეფასებების ამსახველი მასალები და უწყისები დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, ვინაიდან მათი განმარტებით აღნიშნული დოკუმენტაცია ინახებოდა აკადემიურ პერსონალთან. მან ასევე განმარტა, რომ რიგი სტუდენტების სემესტრების ინტენსიურ დაფარვას ჰქონდა ადგილი და არა ცალკეული საგნის, მაგალითად, ერთი უცხოენოვანი სტუდენტი, ნიგერიის მოქალაქე, მეორე სემესტრში ისე გადავიდა, რომ პირველი ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული.

ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის განმარტებით, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს 2015 წლის 8 მაისს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №9 გადაწყვეტილებით 2105 წლის 29 ივლისიდან მიენიჭა ავტორიზაცია. ავტორიზაციის აღნიშნულმა საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადამოწმებულიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების ფაქტები. იმ 2 უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, რომლებსაც დაწესებულება ახორციელებდა არაავტორიზებულ რეჟიმში, დაწესებულებას გააზრებული ჰქონდა უკვე ის გარემოება, რომ ამ ხარვეზის გამოსწორებას არ ექვემდებარებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას გაცნობიერებული ჰქონდა ეს ფაქტი და ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების გზა აღარ არსებობდა. მან აქვე დასძინა, რომ დაწესებულებამ მიიღო შესაბამისი ზომები იმ პირთა დასასჯელად, ვინც პასუხისმგებელნი იყვნენ აღნიშნულზე. მათთან მოხდა შრომითი ურთიერთობის გაწყვეტა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, იყო თუ არა ის 16 სტუდენტი ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ ვერ მიიღებდნენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს და ფიზიკურად თუ ნახეს და გაესაუბრნენ მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტები აღნიშნულ სტუდენტებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პროცესში მათ ეს სტუდენტები არ უნახავთ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯერ სტუდენტები არ იყვნენ ინფორმირებულები და ისინი ამჟამად იმყოფებოდნენ თავიანთ ქვეყნებში არდადეგებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ყველა ეს სტუდენტი მინისტრის ბრძანების საფუძველზე იყო დაწესებულებაში ჩარიცხული და შესაბამისად, ფიქსირდებოდნენ სტუდენტთა რეესტრის ბაზაშიც. ჩარიცხვასთან დაკავშირებით ყველა პროცედურა დაცულ იქნა. თუმცაღა, აღნიშნულის შემდეგ, შესაბამისი პროცედურებისათვის დაწესებულებას უნდა მიემართა ცენტრისთვის, რაც არ განხორციელებულა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების მიერ მოხდა შეცდომის დაშვება და მხოლოდ სატელეფონო კონსულტაციით შემოიფარგლა ცენტრთან, რა დროსაც მიიღო არასწორი კონსულტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას კონკრეტულად არ ახსოვდა თუ ვისგან მიიღო უნივერსიტეტმა მცდარი სატელეფონო კონსულტაცია.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 15:08 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 15:50 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, გრიგოლ მურღულიამ.

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ის პრობლემა რომელიც დაწესებულებას ჰქონდა უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით, მოგვარებას არ ექვემდებარებოდა, ვინაიდან ფაქტი იყო უკვე დამდგარი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული სტუდენტები არასწორად იყვნენ ჩარიცხულები, ვინაიდან ქართულენოვანი პროგრამის ქონა არ ნიშნავდა იმას, რომ დაწესებულებას ავტორიზაციით ან აკრედიტაციით დამატების გარეშე შეეძლო ამ პროგრამის უცხოენოვანი ანალოგის შექმნა და განხორციელება. საბჭოს განმარტებით, პროგრამის სხვა ენაზე განხორციელება გულისხმობდა თვისობრივად სხვა პროგრამას და მას სჭირდებოდა ავტორიზაციით ან აკრედიტაციით დამატება. შესაბამისად, დაწესებულებას დარღვეული ჰქონდა აღნიშნული

რეგულაციები. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო იმ სტუდენტების ინტერესების დაცვა, რომლებიც დაწესებულებაში სწავლობდნენ. შესაბამისად, დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმებით, აღნიშნული სტუდენტების ინტერესები ვერ იქნებოდა დაცული, ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ მსგავსი პროგრამები საქართველოში არსებულ არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა და სტუდენტებს არ ექნებოდათ შესაძლებლობა ესარგებლათ მობილობის უფლებით.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა იყო, რომ ცენტრმა ოქმის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში აცნობოს სათანადო ორგანოებს და მიაწოდოს შესაბამისი მასალები დაწესებულებაში უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ამასთან, დაწესებულებაში სწავლის დაწყებისთანავე, დაწესებულებამ უნდა მოახდინოს იმ 16 სტუდენტთან შეხვედრა და მათთვის ინფორმაციის მიწოდება შექმნილი მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე, შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალ საბჭოსაც.

3. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ანა კლდიაშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი რამიშვილმა.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის დამატება სიღნაღის რაიონის, სოფელ საქობოში. ექსპერტთა მიერ ადგილზე მოხდა მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმება. ორივე სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულება აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტირებულ გარემოსთან მიმართებით ვიზიტის პროცესში დაფიქსირდა შენიშვნები, რომელიც გამოსწორებულ იქნა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საბჭოს სხდომაზე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ფოტოსურათების სახით. ასევე, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ დაწესებულების დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სოფელ საქობოში არსებულ ფართზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ტარდებოდა თითო-თითო ლექცია, რომელსაც ესწრებოდა 2 სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენლის ცნობით, აღნიშნულ მისამართზე სასწავლო პროცესში ჩართული იყო უკვე 15 სტუდენტი. იმ სტუდენტებს, რომლებიც ამ რეგიონიდან იყვნენ, ლექციები თბილისის მაგივრად სოფელ საქობოს შენობაში უტარდებოდათ.

ექსპერტმა ასევე, დააფიქსირა, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს სასწავლო ფართზე განახორციელოს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები, რისთვისაც დაწესებულებას აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დადებული ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულებები. ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, დასაქმებული იღებს ვალდებულებას რომ მომავალში მონაწილეობა მიიღოს სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებაში.

სხდომის თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის დამატების სურვილი სიღნაღის რაიონის, სოფელ საქობოში და იყო თუ არა აღნიშნული გათვალისწინებული დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებლები წარმოშობით კახეთის რეგიონიდან იყვნენ და მათი დიდი სურვილი იყო რეგიონის განვითარება. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც კახეთის რეგიონიდან იყვნენ სოციალური პირობები უმჯობესდებოდა, მათ აღარ მოუწევდათ თბილისში საცხოვრებლის ქირის გადახდა და ამასთან, სწავლის საფასურიც ნაკლები იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელ საქობოში სასწავლო ფართის დამატების თაობაზე ცენტრს აცნობეს თვითშეფასების წლიური ანგარიშში დაფიქსირების გზით, რის შედეგადაც განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქობოს სასწავლო შენობაში უკვე ხორციელდებოდა სასწავლო პროცესი. ამჟამად დაწესებულებაში მობილობის გზით იყვნენ აღნიშნული

სტუდენტები ჩარიცხულნი დასახელებულ ორ საგანმანათლებლო პროგრამაზე და სექტემბრისთვის მოხდებოდა ჩვეულებრივად კონტიგენტის მიღება აღნიშნულ ფართზე.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, სოფელ საქობოში სასწავლო პროცესს განახორციელებდა ადგილობრივი კადრები თუ თბილისიდან მოხდებოდა აკადემიური პერსონალის ჩამოყვანა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სოფელ საქობოში ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის 30% იქნებოდა ადგილობრივი, ხოლო 70%-ის ტრანსპორტირება მოხდებოდა თბილისიდან. როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, თითოეულ მათგანთან დადებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ სად იცხოვრებდნენ ან როგორ მოხდებოდა იმ სტუდენტების ტრანსპორტირება, რომლებიც კახეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობდნენ და არა სოფელ საქობოში. ასევე, სასწავლო პროცესის გარდა სხვა სახის სტუდენტური აქტივობები როგორ განხორციელდებოდა სოფელ საქობოში.

დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ სოფელ საქობოში, დაწესებულების ფართზე რემონტდებოდა სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, სადაც განთავსდებოდნენ სტუდენტები. ასევე, იგეგმებოდა სხვადასხვა პროფილის ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იყო სტუდენტურ აქტივობასთან, კერძოდ, უკვე განხორციელდა რამდენიმე ექსკურსია კახეთის რეგიონის ფარგლებს გარეთ. სპორტული აქტივობების განხორციელებაც შესაძლებელი იყო ადგილზე არსებულ კეთილმოწყობილ სტადიონზე.

საბჭოს წევრის, გრიგოლ მურღულიას თქმით სტუდენტური ცხოვრება უფრო მეტი იყო ვიდრე, დაწესებულების მიერ დასახელებული აქტივობები. მან აგრეთვე, ეჭვი გამოთქვა, თუ რამდენად რეალური იქნებოდა თბილისიდან აკადემიური პერსონალის სიარული სოფელ საქობოში სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: კონსტანტინე სირბილაძემ და გრიგოლ მურღულიამ.

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 211356414) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 6 მაისის სხდომაზე მოხდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა. საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებისათვის დამატებით 30 დღიანი ვადა განესაზღვრა. აღნიშნული ვადის დაცვით ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტების მიერ მოხდა ცენტრში აღნიშნული დოკუმენტაციის შეფასება. შეფასების შედეგებს საბჭოს წინაშე წარადგენს მონიტორინგის ჯგუფის წევრი, ანა კლდიაშვილი.

ანა კლდიაშვილის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო რექტორის ბრძანება, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა ის ღონისძიება, რაც განახორციელა დაწესებულებამ მონიტორინგის ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინების მიზნით.

ექსპერტის თქმით, გაფორმდა ხელშეკრულებები სხვადასხვა სააფთიაქო ქსელთან. საგანმანათლებლო პროგრამებში მიეთითა დასაქმების სფეროები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მიეთითა „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება". ცვლილებები განხორციელდა ასევე, სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. აღმოიფხვრა ასევე, პრობლემა ინგლისურ ენასთან მიმართებით და B1 დონის ნაცვლად მიეთითა B2 დონე. დასკვნაში დაფიქსირებული იყო აგრეთვე მექანიკური ხასიათის შენიშვნებიც, რომლებიც ასევე გამოსწორებულ იქნა დაწესებულების მიერ.

სხდომის თავმჯდომარის, დავით აფრასიძის განცხადებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს პოზიცია იყო, რომ ამ დაწესებულების მსგავსი პრეცედენტი აღარ დაუშვას შემდგომში საბჭომ და მონიტორინგის შედეგების მონიტორინგი აღარ დააწესოს. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ.

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204577582) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
ანანო გიორგაძე